ინვესტორთა საბჭოს მეოთხე სხდომის ოქმი

24 იანვარი 2017 წ., 14:00 სთ.

შახელმწიფო კანცელარია
სხდომის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ:

ინვესტორთა საბჭოს წევრები:

- გიორგი კვირიკაშვილი, თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი
- დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველი ვიცე პრემიერი, ფინანსთა მინისტრყ
- ნინო ჯავახაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
- კახა კალაძე, ვიცე პრემიერ მინისტრყ, ენერგეტიკის
- ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი
- ზურაბ ალავიძე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
- მაიქლ ქოუგილი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი
- სამსონ ფხაკაძე, ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ფადი ასლი, თავმჯდომარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
- ზვიად ჭუმბურიძე, პრეზიდენტი, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი
- იან ვან ბილსენი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რეგიონალური მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში
- იეშიმ ელჰან-კაიალარი, უფროსი პროექტების მმართველი, აზიის განვითარების ბანკი
- მარიამ მელვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

მოწვეული სტუმრები:

- თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი
- ნინო გვენეტაძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
- ჯასტინ მაკკენზი სმიტი, ელჩი, ბრიტანეთის საელჩო
- სარა უილიამსონი, ექს-პრეზიდენტი, ამერიკის სავაჭრო პალატა:
- გიორგი თაბუაშვილი, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, შემოსავლების სამსახურის უფროსი
- ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ბიზნეს

ასოციაცია

- ჯორჯ უელტონი, აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ზურაბ კაჭკაჭიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- თამთა შერმადინი, საკონსულტაციო სერვისების უფროსი, PWC საქართველო
- ნათია ბერუაშვილი, პარტიეს უფროსი, G4G საქართველო
- მარიამ დოლიძე, საქართველოს ეკონომისტი, მსოფლიო ბანკი
- ბექა ინჯია, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, მრჩეველი ლეგალურ საკითხებში
- გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- ერეკლე კოკაია, ბიზნეს ანალიტიკოსი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

გახსნითი სიტყვა:

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ მინისტრის სიტყვა:

- მადლობა გადაუხადა USAID-ის G4G-ს ბიზნესების მიერ სახელმწიფო აუდიტის პროცესის შეფასების კვლევის პროექტისათვის. აგრეთვე მადლობა გადაუხადა GGF-სა და PWC-ს ესტონური საგადასახადო მოდელის დანერგვისთვის გაწეული სამსახურისთვის.

ჯასტინ მაკკენზი სმიტი, ელჩი, ბრიტანეთის საელჩო:

- ხაზი გაუსვა ჯანსაღი ბიზნეს გარემოს არსებობის მნიშვნელობას საქართველოს ევროკავშირში და ნათოში ინტეგრაციისათვის
- ყურადღება გაამახვილა გაერთიანებული სამეფოს თავისუფალი ვაჭრობისა და ინვესტიციებისადმი უწყვეტ თავდადებას

2016 წლის 20 მაისს ინვესტორთა საბჭოს შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების სტატუსი

1. საგადასახადო ადმინისტრირება:

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

ძირითადი საკითხები:

- ესტონური საგადასახადო მოდელის დანერგვისთვის ტექნიკური დახმარების პროექტი დასრულდა 2016 წლის ბოლოსთვის. პროექტი განხორციელდა PWC-ს დახმარებითა და GGF-ის დაფინანსებით.

- ინვესტორთა საბჭოს სამდივნო ურჩევს შემოსავლების სამსახურს, რომ განაგრძოს ბიზნესების ინფორმირება ახალი საგადასახადო მოდელის შესახებ მთელი ქვეყნის მაშტაბით
- დასრულდა USAID-ის მიერ დაფინანსებული და ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ წარმოებული პროექტი საქართველოს საგადასახადო აუდიტისადმი ბიზნეს სექტორის დამოკიდებულების შესახებ
- ინვესტორთა საბჭო აგძელებს თანამშრომლობას შემოსავლების სამსახურთან ტექნიკური დახმარების მონახაზთან დაკავშირებით ევროკავშირის დღგ-ს დირექტივების დანერგვისთვის

დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველი ვიცე პრემიერ მინისტრი, ფინანსთა მინისტრი:

- მინისტრმა ხაზი გაუსვა ბიზნეს სექტორსა და შემოსავლების სამსახურს შორის კომუნიკაციის მნიშვნელობას.
- შემოსავლების სამსახური აყალიბებს სპეციალურ უნსტრუქციებს, რათა მათი სერვისები უფრო გამჭირვალე და გასაგები გახდეს კლიენტებისთვის

გიორგი თაბუაშვილის, შემოსავლების სამსახურის თავმჯდომარე:

- შემოსავლების სამსახური შეუწყვეტლივ მუშაობს თავისის სერვისების გაუმჯობესებაზე; მათ აგრეთვე მოამზადეს გადასახადების გადამხდელებისთვის ინსტრუქციები და წრთვნები ახალ საგადასახადო მოდელთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება: ინვესტორთა საბჭო გააგრძელებს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობას ბიზნეს სექტორთან დიალოგის გასაგრძელებლად და შემოსავლების სამსახურის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად

2. სარჩლის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით შეთავაზებული გაუმჯობესებები

მომხსენებელი: მარიამ მელვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

ძირითადი საკითხები:

- სარჩლის უზრუნველყოფის ღონისძიებამ მოპასუხე მხარის წინასწარ გაფრთხილების გარეშე, შეიძლება უსამართლოდ დააზიანოს იგი.
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს რჩევით უზრუნველყოფის ღონისძიება გაფრთხილების გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევისთვის უნდა არსებობდეს, თუ წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებელი და გამოუსწორებელი ზიანი მიადგება განმცხადებელს.

კომენტარი:

ნინო გვენეტაძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე:

- გარკვეული დროა საჭირო სწორი დანერგვისთვის. სასამართლო სისტემის წარმომადგენლებს აქტიური ურთიერთობა ექნებათ ინვესტორთა საბჭოს სამდივნოსა და იუსტიციის სამინისტროსთან ამ საკითხთან დაკავშირებით და გაითვალისწინებენ მათ რჩევებს.

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:

- სარჩლის აღსრულების ღონისძიება საჭიროა, მომჩივანი მხარის დასაცავად ამიტომ არ იზიარებს ნახსენებ რჩევას მის შეცვლასთან დაკავშირებით, თუმცა სამდივნოსთან შემდგომი დისკუსიებისთვის მზად არის

გადაწყვეტილება:

ინვესტროთა საბჭოს სამდივნო იმუშავებს ყველა მონაწილე პირთან მათ შორის იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებთან, რომ ყველა მხარისთვის მისაღები რეზოლუცია ჩამოაყალიბონ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. აგრეთვე მონაწილეობას მიიღებს ლეგისლაციაში სავარაუდო ცვლილებების მონახაზის შექმნაში.

3. სასამართლო რეფორმა

მომხსენებელი: გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო:

ძირითადი საკითხები:

- ინვესტორთა საბჭო მიესალმება სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის სალეგისლაციო პაკეტის მიღებას, თუმცა უფრო მეტია გასაკეთებელი, რომ მოგვარდეს სასამართლოს პრობლემები, მათ შორის საქმის შემთხვევითი შერჩევა, e-justice და სასამართლოს სისტემის განტვირთვა
- იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს კომპლექსური ბიზნეს დავების სწრაფი და სამართლიანი გადაწყვეტა, იუსტიციის სამინისტროს ახალი ინიციატივა მიზნად ისახავს ,,სწრაფი პროცედურის,, დანერგვას კომპლექსურ ბიზნეს დავებზე
- სასამართლო მოხელეთა უფლებამოსილების შესაძლო გაზრდა ,,დაბალი ღირებულების,, საქმეების განსახილველად, სასამართლოს განსატვითავად
- საქმეების გადანაწილება მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად კვლავ აქტუალურ თემად რჩება
- ინვესტორთა საბჭო გააგრძელებს სასამარლოს განტვირთვისათვის პროექტების დაფინანსების წყაროების ძებნას. EBRD-მ გამოხატა დახმარების სურვილი სასამართლოს მოცულობასთან დაკავშირებით.

მხარეების მიერ განხილული დამატებითი საკითხები:

ფადი ასლი, თავმჯდომარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა:

- წარმოადგინა ინდივიდუალური შემთხვევები, იმ პრობლემების ასასახავად, რაც ბიზნესებს ხვდებათ საქართველოში:
- გამოხატა შეშფოთება სასამართლოს მიერ აქტივების გასაღების აკრძალვასთან დაკავშირებით, ბანკისათვის გადაუხდელობის გამო
- საემიგრაციო სამსახურის უეფექტობა არაბული ქვეყნების მოქალაქეთათვის საქართველოში შემოსვლის უფლების მიცემასთან დაკავშირებით
- წაიკითხა ციტატა ევროპელი ელჩის ელ-ფოსტიდან, საქართველოში არსებული სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით
- წარადგინა შეთავაზება, რომ შეიქმნას ინვესტორთა ხანგძლივვადიანი ურთიერთობების დეპარტამენტი
- განიხილა საერთაშორისო სავაჭრო პალატის ერთ ერთი წევრის პრობლემა, რომლის აქტივებიც წელიწად ნახევარია შემოსავლების სამსახურის მიერ არის გაყინული
- გამოხატა თავისი სრული მხარდაჭერა ხელისუფლებისადმი

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ მინისტრი, ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

- საემიგრაციო სამსახურის ნახსენები პრობლემა არ არის სისტემური
- დათანხმდა ინვესტორთა ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას
- განაცხადა, რომ ინფორმირებულია ნახსენებ საქმეებზე და უკვე მიღებული აქვს შესაფერისი ზომები

დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველი ვიცე პრემიერ მინისტრი, ფინანსთა მინისტრი:

- ფადი ასლის შესთავაზა ნახსენებ აქტივის გაყინვის საქმეზე გარჩევაში მიეღო მონაწილეობა

სარა უილიამსონი, ექს-პრეზიდენტი, ამერიკის სავაჭრო პალატა:

- გამოხატა თავისი მადლიერება პრემიერ მინისტრისა და ბატონი ბრუნო ბალვანერასადმი ინვესტორთა საბჭოსთვის, ერთერთი ყველაზე საამაყო რამ რაც სარას პრეზიდენტობის დროს გაკეთდა

მაიქელ ქოუგილი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი

- გამოხატა თავისი ღელვა ამერიკის სავაჭრო პალატის წევრების ახალი საგადასახადო მოდელთან გამოუცდელობისა და პოტენციური ჯარიმების შესახება დაგვიანების ან შეცდომების გამო.
- მიესალმება სარჩლის უზრუნველყოფის პროპორციანულობის კანონის მიღებას
- აგრეთვე გამოხატა თავისი ღელვა იმის თაობაზე, რომ სარჩლის უზრუნველყოფის ღონისძიებამ შეიძლება უსამართლოდ დააზარალოს ბიზნესი.

სამსონ ფხაკაძე, ვიცე პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია:

- ახსნა, თუ რატომ არის საჭირო სარჩლის უზრუნველყოფის კანონში ცვლილებები

ბექა ინჯია, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, მრჩეველი ლეგალურ საკითხებში

- შესთავაზა მოსამართლეებისთვის მოცულობის პრობლემის მოგვარებისთვის დახმარება: კერძოდ UNCITRAL-ის არბიტრარების მიერ პროფესიონალური წრთვნების არბიტრარებისთვის ჩატარება

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:

- მიესალმება საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ინიციატივას.

გადაწყვეტილება: ინვესტორთა საბჭო იმუშავებს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასა და უზენაეს სასამართლოსთან შესაძლო მოცულობის დასადგენად და მოსამართლეების წრთვნების პროგრამის ჩამოსაყალიბებლად.

პრემიერ მინისტრის მიერ შემოთავაზებული ახალი ინიციატივა:

- პრემიერ მინისტრმა სთხოვა ინვესტორთა საბჭოს, რომ ჩამოაყალიბოს სამუშაო ჯგუფი კერძო სექტორის მონაწილეობით, რომელიც განიხილავს ტურიზმის ბიუჯეტს და დარწმუნდება, რომ სარეკლამო ფონდები გონივრულად არის განაწილებული

ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი:

- ტურიზმი ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი მატარებელია და ევრობანკი მზადაა ამ განხრით ახალგაზრდების პროფესიულ წრთვნებში შეიტანოს წვლილი

ხელისუფლების წარმომადგენლის პრეზენტაცია ეკონომიკური ზრდის ნახტომის შესახებ:

ნინო ჯავახაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე:

- სამუშაოები მიმდინარეობს საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით: კერძოდ საპენსიო კანონზე და IT ინფრასტრუქტურაზე ფინანსური შემოსავალ-გასავლების გასაკონტროლებლად.
- სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროგრამები სოფლის მეურნეობასთან და სხვა ინდუსტრიებისთვის წარმატებული აღმოჩნდა და შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები; სამინისტრო გეგმავს ამ პროგრამებისადმი მხარდაჭერის გაზრდას.

ზურაბ ალავიძე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი

- წარადგინა სახელმწიფოს ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ამბიციური გეგმა
- სამინისტრო მუშაობს ვებ გვერდის შექმნაზე სადაც იქნება ყველა პროექტის დროის განრიგი, რომ მოქალაქეებმა შეძლონ პირდაპირ რეჟიმში ადევნონ თვალი მიმდინარე სამუშაოებზე

საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება ან მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში. ზუსტი თარიღი დადგინდება პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციასთან.

მომდევნო შეხვედრაზე განხილული იქნება შემდეგი თემები:

1. საპენსიო რეფორმა;
2. კანონი მეწარმეთა შესახებ;
3. კანონი გადახდისუუნარობის შესახებ;
4. სახელმწიფოს ლარიზაციის პროგრამა ეროვნული ბანკის მონაწილეობით

ამ უკანასკნელ თემასთან დაკავშირებით ინვესტორთა საბჭო შექმნის სამუშაო ჯგუფს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა დროულად მოხდეს იმ გამოძახილების მოგვარება, რასაც ბიზნესები წააწყდებიან ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდში.

გიორგი კვირიკაშვილი	მარიამ მელვინეთუხუცესი
ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი